



מִנּוֹרָה

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ცხრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מִנּוֹרָה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მარტი
ადარ ჰეთ
№3 (451)
(5779)
2019

”מִבְּרוּהָ“
עִתּוֹן יְהוּדִי
בָּגּוּרְגִּיה

ხელისუფალი და პუტინის შევეძრა



ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბინიამინ ნეთანიაჟუ მოსკოვს ჩავიდა და შეხვდა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინს. მათი შეხვედრის მიზანი გახლდათ სხვადასხვა სოციალური და ჰუმანიტარული საკითხების გადაწყვეტაში თანამშრომლობა. ბ.ნეთანიაჟუმ ვ.პუტინი მიწვია ლენინგრადის ბლოკადის მსხვერპლთა ძეგლის გახსნაზე. ეს ძეგლი იერუსალიმში დაიდგმება და მის შექმნას ევრაზიის ებრაულთა კონგრესი აფინანსებს.

რუსეთის პრეზიდენტმა მიწვევა მიიღო და ისრაელის პრემიერ მინისტრს სტუმრობაც აღუქავა.

მაგრამ შეხვედრის მთავარი თემა მაინც ირანიდან მომდინარე საშიშროება გახლდათ. ბ.ნეთანიაჟუმ ხაზგასმით აღნიშნა:

— ჩვენი რეგიონისათვის ყველაზე დიდი საფრთხე ირანიდან მომდინარეობს, ამიტომ მტკიცებ გვაქვს გადაწყვეტილი თეირანს არ მივცეთ სირიაში გამარების საშუალება და მასზე შეტევებს კვლავაც გავაგრძელებთ.

ბ. ნეთანიაჟუ შეხვდა მოსკოვის ებრაელ ლიდერებს, რომლებთანაც გულითადი საუბარი გამართა. ისრაელის პრემიერ-მინისტრი იმავე საღამოს ისრაელს დაბრუნდა.

მისამართის ახალი მიღწევა

ისრაელში შეიქმნა ავტომობილი, რომელიც ჰაერს წყლად გადააქცევს. WaterGen-ის თავმჯდომარე, ისრაელელი ქართველი ბიზნესმენი მიხეილ მირილაშვილი, რომლის მეთაურობითაც ეს ახალი გამოგონება დამუშავდა, ამბობს:

— იმ ეპოქაში, როცა მსოფლიოს ორ მილიარდ ადამიანს არა აქვს წყდომა სუფთა სასმელ წყალთან,

WaterGen-ის ტექნოლოგია სტიქიური უბედურებებისა და ტექნოგენური კატასტროფებისას მილიონობით ადამიანის სიცოცხლის გადარჩენის საშუალებაა და დიდი გარღვევაა ადამიანების წყლით უზრუნველყოფის — მათი სიცოცხლის გადარჩენის საქმეში. ისრაელის ეს ტექნოლოგია მარად არსებული წყაროსაგან — პერისაგან — ადამიანებს წყალს აძლევს დაუყონებლივ, ყოველგვარი საამშენებლო სამუშაოს გარეშე.

შეიქმნა სპეციალური ავტომობილი ჰელის მიმღები მოწყობილობით და მას ძალუძის მივიდეს ნებისმიერ ადგილას, სადაც ადამიანებს აღარა აქვთ წყალი და შეუძლია იხსნას ისინი სიკედლისა და ინფექციების გავრცელებისაგან. ამ საპარკო მანქანაზე განლაგებულ მოწყობილობას, ძალუძის ჰერიდან მიიღოს 900 ლიტრა სუფთა სასმელი წყალი, შეიდარეზერვუარი კი 200 ლიტრ წყალს იტევს. იგი ჩამოისხმება როგორც დაგრილებული, ასევე ოთახის ტემპერატურისა.

ბესო მისამართის პატივსაცემად



ჩვენმა მეითხველმა იცის, რომ შარშან მსოფლიოში მიმოფანტულ ქართველ ებრაელთა მთავარ რაბინად არჩეული იქნა რაბი იაკობ გაგულა (გაგულაშვილი).

იაკობ გაგულაში თებერვლის ბოლო-მარტის პირველი დღეები საქართველოში გაატარა. თავისი ჩამოსვლის მიზანზე „მენორასთან“ საუბრისას აღნიშნა. რომ ჩამოვიდა თემის საჯამაათო ცხოვრების უკეთ გასაცნობად. მართალია, საქართველოს ებრაელთა ყოველდღიურობაზე მისთვის ბევრი რამ ცნობილია, მაგრამ ჯამათის ცხოვრებაში სისტემატურად ნამოიჭრება ახალი საკითხები, სირთულეები, რომელიც დაუყონებლივ გადაჭრას მოითხოვს.

— უფრო კონკრეტულა?

— დღეს საქართველოსა და ისრაელს შორის ინტენსიური საავაციო მიმოსვლაა — დღეში რამდენიმე რეისი დაფრინავს. შევხვდი „საქართველოს ავიახაზების“ მეთაურს ბ-ნ თამაზ გააძვილს და დავსვი საკითხი იმის თაობაზე, რომ ისრაელის რეისებზე ამის მსურველ მგზავრებს, ჰერიდეთ ქაშერი კერძა, ისევე როგორც ეს არის დასავლეთის ქვეყნების საავიაციო კომპანიები — როცა ადამიანი ყიდულობს თვითმფრინავის ბილეთს, მას იქვე შეუძლია განაცხადოს, რომ სურს ქაშერი საკვები.

ბატონმა თამაზ გაიაშვილმა აღმითქვა, რომ საკითხს შეისწავლიან და შესაძლებლობის შემთხვევაში დადებითად გადაჭრიან.

მსოფლიოს ქართველ ებრაელთა მთავარი რაბინის საზრუნავი ასევე გახლდათ საქართველოს ციხეებში გამომზყვდებული 8 ისრაელისა და საქართველოს მოქალაქე ებრაელის მდგომარეობა. იაკობ გაგულამ სასჯელალსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე წამოჭრა ამ პატიმართა სათანადო რელიგიური ლიტერატურით და ქაშერი საკვებით მომარაგების საკითხი, მათ ასევე უნდა მიეცეთ ლოცვის საშუალება.

იაკობ გაგულა შეხვდა იმ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც მთავარ რაბისთან საუბარი ბათუმში ჩამონაგრეული სინაგოგის რეკონსტრუქციის კონფლიქტურ საკითხთან დაკავშირებით მოინადინეს. აյ ერთმანეთს დაუპირისპირდა საქართველოს ებრაელთა კავშირისა და საქართველოში ისრაელის ბიზნეს-პალატის პოზიციები. ამ საკითხის ძირითად შესწავლის მიზნით, იაკობ გაგულა თბილისიდან ბათუმს გაემგზავრა.

იაკობ გაგულას საქართველოში მოგზაურობისას ახლდა მსოფლიოს ქართველ ებრაელთა ფედერაციის გენერალური დირექტორი რაბი იოსიფ ხერსონსკი, რომელმაც ამ პოსტზე თამაზ სეფიაშვილი შეცვალა.



შარშან ზაფხულის დამლევს ისრაელში გარდაიცვალა ლირსეული ქართველი ებრაელი ბესო მიხელაშვილი — ბიზნესმენი, საზოგადო პირი, რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლებში შექმნა და „მენორას“ ფურცლებზე დაბეჭდა, ერთობ საინტერესო ნარკევები მეორე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ებრაელთა ყოფაზე. ბესო მიხელაშვილი გახლდათ გულმხურვალე ებრაელი — მისი ლირსების განმაპირობებელიცა და დამცველიც.

4 მარტს ერთგარი დღესასწაული გაიმართა ბუდებშის ცენტრალურ სინაგოგაში — ბესო მიხელაშვილის ძმამ და ძმისშვილმა ისაკ და შაბთაი (შაბი) მიხელაშვილებიმა ბესო ქრისტეში დიდებული სეფერთორა შეაპრინა.

ასე: კეთილ საქმეთა ავტორებს — თემის ლირსეულ შვილებს სივრცეთა სიშორე ვერაფერს აკლებს: შესაძლოა, სუჯუნაში დაბადებულ, ქ. მიხა-ცხაკაიაში აღზრდილ და ისრაელში გარდაცვლილ ადამიანს დუნაის ნაპირზეც მიაგებდნენ პატივს.

ერთი პუბლიკაციის კვალდაკვალ

„მ“ წინა ნომერში დაბეჭდილმა მასალამ ირანის ებრაელობის თაობაზე მკითხველის ყურადღება მიიქცია. თუ რატომ, ამას შეიტყობოთ, გაზეთის რედაქტორისა და ისრაელის პარ ილანის უნივერსიტეტის პროფესორის — მოშე დანიელის (დანიელაშვილის) მიმოწერიდან.

ჩემი მოშე მაჭიონი,
მშერ, რომ თეირანის კი არა, ორილისის სინაგოგის ფოტო
არის ფოტო, რომ ეს შეწომია და მომდევნო ნომერში მივუთი-
თოთ დაძვრული შეწომის თაობაზე.

საქმე იმაშია, რომ არა-რა შეწომა არ არის — ფოტო
გადამოტენილია იმ მასალითან, რომელიც ირანის ებრაელობის
თაობაზე გაავრცელა ჩრდილოეთ კავკასიის ებრაელთა კონგრე-
სის საიტი „სტრეგი“ და მერ მალურა — ყურადღების მისაქნევად
მოზრდილი სახით დავწერდე. რატომ? ეს გვაძლევს საბაზს
ვიშკულოთ იმაზე, ხომ არ იყო, ან თუ იყო, რაოდენი მეზო-
შელი აღმოსავლეთის ქვეყნების (ირანი, თურქეთი) ზეგავლენა
საქართველოს ებრაელობაზე. აქ ზევრი რამ არის სამსკულო.
ვიჟირობა, ეს შენი საფიქრალი უნდა იყოს და გონივრული
იქნება, თუ ამ საკითხზე საუბარს გაზირში შენი გამოხმაურე-
ბით წამოვიწყებთ.

ნურჯ ანის შეითქმულის არქიტექტურის წარმომავლობა
ფაგვავიწყებულის.

ფაქტია, რომ ამ ფოტომ შევრ რამეზე უნდა ფაგვაფიქროს.
გურამ გ.

ჩემი გურამ,

მე, როგორუ, ჩემის აზრით, მშენებელს, ორილისის და
მსოფლიოს მრავალი ლოკის მნახველს, თვითონ ლოკის
ამამორექტებელს და გამაძლიერებელს, მათ შორის, ორილისის
ამ ლოკის, ორილისის ფილი, ქართველ-ებრაელთა ე.ნ. ახალ-
რიხელების ლოკის პროექტის და ნაგებობის ორიგინალობაში
ეჭვი არ მეპარება. ჩემი სამშენებლო საინინრო წოდის და
განათლების მიხედვით თბილისის ე.ნ. „ახალრიხელების ლოკ-
ვის“ პროექტი და ნაგებობა კონსტრუქტული გადაწყვეტილ
ეკონომიკული ნაგებობა, ინუინერი ეკონომიკული განათლებისაა,
სკამერის შიგა განლაგება აშენაზურია.

თუ შეგიძლია კიდრვ ერთხელ გადამოწმე ეგ ინფორმაცია.
მაგის გამავრცელებულ საიტს შორიშის მოხდა მოუწვევა. ჩემი
აზრის გამოქვეყნება ამ საკითხზე მსკულობის შემთხვევაში
მიზანშენონილად მიმაჩნია. ამ ანის ლოკვა კი სხვა საკითხია.

მერ ჩემი შერიც ჩემთვის მისაწვდომი საშუალებებით ამ
საკითხს გამოვიყვლება.

პატივისებული
მოშე დანიელი

ჩემი გურამ

გიგზავნი ჰურ-ჰურობით თეირანის ვ ლოკის ფოტოს GOOGLE-
ფან.

რეაქტივის შეგიძლიათ ნახოთ.

პატივისებული
მოშე დანიელი

ჩემი მოშე,

ხომ არ გაავრძელე კვლევა თეირანის სინაგოგების თაობაზე?
როგორუ ჩანს, საიტს, „სტრეგი“ საიდანაც ეს მასალა და
ფოტოს გადამოვილეთ, მოუყიდა შეწომა. ამიტომ გთხოვ, რო-
გორუ სტერიალისტია, იქნებ, ერთ გვერდამდე დანერო, თუ ვინ
იყო თბილისის შეითქმული ქრისტიანი, ვისი დაკვეთი
აშენდა.

გურამ გ.

ჩემი გურამ, შალომ,

თეირანის ლოკვების კვლევას ვაგრძელებ ზარ-ილანის უნი-
ვერსიტეტით კავშირის ფამიარების მეცნიელობით, ორილისის
შეითქმულის შესახებ ზევრ საინტერესო მასალას მოგაწვდი
გაზეთი „მენორა“ ისურვებს, იმის გათვალისწინებით, რომ საქა-
რთველოს თოვების უკავის ლოკის შენობა მაქვა შესხავლილი
და რამდენიმე გაძლიერებული, შეიძლება სტატიების სერია
გამოქვეყნდეს ან განსვენებული ჩვენი ძვირფასი მეგორძის,
საქართველოს საისრალო საქმისათვის ფაულალავი მეტრძლი
კარის, შოთა რისტავის შვილის შრომების გამოყენებით — მისადმი
და ნისან შაბალიკაშვილისადმი მიძღვნილი.

ზევრით ჰაშემი, ვითავოთ ეს საქმე.

მე შეგძლებ ამ საკითხებზე ინტენსიურ მუშაობას ერთი თვის
შემდეგ.

თბილისის ლოკვაზე მასალას ფროულად მოგაწვდი.

პატივისებული
მოშე დანიელი

ჩემი მოშე, ძალიან კარგი იქნება, ნულარ დააყოვნებ,
საქმეს შეუდევე!

გურამ გ.

ცაცა



შეწირული ორაგულივით...

რაზო (ეხალიანი) ადამია

ნიკო ფიროსმანაშვილი თავისი შემოქმედებით
— ზღვის ბინადარი საოცრება ორაგულივით, სა-
კუთარ გენიაზე შენირული მხატვარია. ორაგულე-
ბი, როცა დაქვირითდებიან, ზღვიდან, თუ დიდი
მდინარეებიდან დანიშნულ ადგილას ქვირითის
დასაყრელად, ჯგუფ-ჯგუფად დაიძგრებიან. თე-
ვზური ინტუიციით, შეუსვენებლივ მიემურებიან
მდინარის პირველ წყარომდე, დაპატარავებულ
კალაპოტში. ნელი სვლით და ცოცვით მიინვენ
წინ, წყაროს თვალამდე. ამ მსვლელობისას გზა-
დაგზა ტანის ფერიც ეცვლებათ, მუქი მწვანე ციმ-
ციმა ზურგით და ვერცხლისფერი ფაფრით ზეცას
შეჰქურებენ, ხოლო თეთრი და მოვერცხლისფრო
ქვირით სავსე მუცლით, კრიალა და სხვადასხვა
ფერის ქვებს თევზისეული სინაზით ელაციცებიან
— ოდნავ ეხახუებან. ასე ცოცვით ქვიდან ქვაზე
გადადიან და უსასრულო სურვილი აქვთ, როგორმე
მივიღნენ წყაროს თვალამდე და მის სიღრმეებშიც
ჩაღწიონ...

რუს სანაპიროს მომდგარი, ნულარი დარღვეულით აღტყ-
ინებული, ჩალისფერი ირმები კი, ბუნების ამ საო-

ცარ მოვლენას, ნუშისებური თვალებით, ნესტოე-
ბდაბერილი, ფრუტუნით მისჩერებიან...

დასასრულს, ასობით დაღლილ-დაქანცული ორ-
აგული, სიამით თუ ტკივილით, ადგილზევე ფერად-
ფერად ქვირითი ყრას და განწირული საკუთარ სი-
ცოცხლეს ეთხოვება...

ნიკო ფიროსმანაშვილს სულ სხვა გასაჭირი და ვალდე-
ბულება დაეკისრა უზენაესისაგან — დიდი შემოქ-
მედის სულით დაორსულდა და თავისი ბედისნერის
გარდაუგალობა დაეკისრა გამჩენისაგან, რათა
ეშვა თავისი ჯიშის და ჯილაგის გადამრჩენი დიდი
ხელოვნება. ქვირითით საგსე ორაგულივით იარა
ურთულესი გზა და ცხოვრების საწყისათან მისვ-
ლით შობა თავისებური ქვირითი და მარადიულო-
ბის უპირველეს წყაროებთან განუტევა სული...

ასე დამრეტილი, ყველაფერგაცემული და წმინ-
დანივით უპატიოსნესი მარტოხელა მხატვარი,
შთამომავლობისათვის შენირული უერთგულესი
ორაგულივით, უპატრონოდ მიგდებულ სხეულად
მიბარდა მინას... ხოლო გენიალური შემოქმედის
სულს მოწყვეტილი ლეთიური ნაყოფი, თავის ერს,
უსასრულო დროით გადარჩენის ლოცვად შესწი-
რა...

ვაჟა-ფშაველა — ბიბლიის ენაზე



ვზეომობდით — ქართველმა მთარგმნელმა, თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა მამუკა ბუცხრიკიძემ მსოფლიოს უძველეს ენაზე, ივრითზე, ვაჟა ფშაველას გენიალური პოემა „ალუდა ქეთელაური“ აა-ქვერა. ასანიშნავია, რომ ეს ისტორიული ფაქტი პოემის ტექსტის 130 წლისთავს დაემთხვა, ქართული კლასიკის ებრაულად თარგმნის ისტორიაში კი, ბორის გაპონოვის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ივრითზე ბრნყინვალედ თარგმნის შემდეგ, იგი მეორე ღირსშესანიშნავი მოვლენა გახლავთ და ესეც, ალბათ, განგების ნებით, რადგან თავად ვაჟა, საქუთარ თავს მხოლოდ დიდი რუსთველის მემკვიდრედ მიიჩნევდა.

„ალუდა ქეთელაურის“ ორენვენი (ებრაულ-ქართული) წიგნის წარდგენა მაღალ აკადემიურ დონეზე ჩატარდა. საქართველოს ელჩმა, ბატონმა პაატა კალანდაძემ მისასალმებელ სიტყვაში გულწრფელად მიულოცა ისრაელელ ხალხს დიდი ვაჟას პოეზიის გაცნობის მომავალი ბეჭდიერება და „ალუდა ქეთელაურს“ ებრაული მკითხველის გულებისაკენ გზა დაულოცა.

წიგნის ისრაელელმა გამომცემელმა ითა ბახურმა დამსწრე საზოგადოებას ვაჟა ფშაველას ბიოგრაფიისა და შემოქმედების საფუძვლიანი ანალიზის ვიდეო

პრეზენტაცია შესთავაზა. ცნობილმა ისრაელელმა კრიტიკოსებმა ვაჟა ფშაველას შემოქმედის და, განსაკუთრებით, პოემა „ალუდა ქეთელაურის“ ზოგადსაკაცობრიო სასიათზე და მსოფლიო ლიტერატურის საგანძიშვრში მის დამსახურებულ ადგილზე ისაუბრეს. მთარგმნელმა მამუკა ბუცხრიკიძემ ყურადღება თარგმაზე მუშაობის სპეციფიკურ მომენტებზე გაამახვილა. „ალუდა ქეთელაურის“ ებრაული ტექსტის რედაქტორმა, მწერალმა და ფოტოხ-

השקת המהדרורה העברית-גאורגית



אלוּדָה כְּתַלָּוִרִי
אוֹזֵיה פְּשָׁבְּלָה

איתִ בְּחוֹר – הַזָּכָאָה לְאָוֶר



ელოვანმა ხედვა როპაკმა დამსწრეთ იმ დიდი ქართველების ნუსხა მიანოდა, რომელთა თარგმნასა და გამოცემას „ბახურ-ბუქსი“ მომავალში აპირებს.

საქართველოს საელჩო ღირსეულად ამაყობს დღევანდელი დღით, მაღლობელია ყველასი, ვინც მხარი დაუჭირა ვაჟას ებრაულად თარგმნის და გამოცემის იდეას, ვისაც თუნდაც იოტისօდენა წვლილი შეაქვს, ზოგადად, ქართული კლასიკის უცხოენაზე თარგმნის საქმეში და მომავალ ნაყოფიერ თანამშრომლობას უსურვებს ყველას, ვინც დაულალავად და ერთგულად ემსახურება საქართველო-ისრაელის მეგობრობისა და კულტურის წარმოჩენის ფასდაუდებელ საქმეს.

იერუსალიმში ქართული ბიბლიოთეკა დარსდა



საჩინო ქომაგები, ისრაელში ამოსული მეცნიერები, პროფესორი გერშონ ბენ-ორენი (წინუაშვილი) და შოთა იაკობაშვილი გახლავთ. ბატონმა გერშონმა ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს პირადი ბიბლიოთეკის 80 პროცენტი - 2 500 წიგნი შესწირა. გახსნის ცერემონიალის მონაწილეთა თვალწინ გაიხსნა შემოწირული წიგნებით სავსე ათობით ყუთი. იქ იმ წუთას, იერუსალიმში წმინდა მიწაზე, დაიბადა ქართულ-ებრაული საუკუნოვანი მეგობრობის, განათლებისა და წიგნიერების ახალი პირმში. ჩვენ ამ ისტორიული მომენტის მოწმები გახლდით.

ისიც აღსანიშნავია, რომ 20 იანვარს დაარსებულმა პირველმა ქართულმა ბიბლიოთეკამ თავისი პირველი სამუშაო დღე საქართველო-ისრაელის წარმატებული ურთიერთობის ერთი განსაკუთრებული მაგალითით დაიწყო. ბატონმა გერშონ ბენ-ორენმა საელჩოს და პირადად მის მრჩეველს, მანანა დუმბაძეს ისრაელში 1998 წელს ივრითზე ნათარგმნი და გამოცემული წოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსიბის წიგნი (უფრო სწორედ, წიგნის ქსეროასლი, რადგან ორიგინალი ხელმიუწვდომელია) „ლექსებით სავსე ხურჯინი“ გადასცა. საქმე ისაა, რომ ხსენებული გამოცემის შესახებ, რომელიც, როგორც გამომცემელი აღნიშნავს, ისრაელის დამოუკიდებლობის 50 წლისთავს და საქართველოს დამოუკიდებლობის 80 წლისთავს ეძღვნება, არც საქართველოში და არც ისრაელში არავითარი ინფორმაცია არ არსებობს, თავად წიგნი კი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

რედაქტორისაგან: ერთხელ, ფილორ დოსტოევსკის იუბილეს წინ, ე. ევტუშენკომ ისაუბრაზე იმაზე, თუ რაოდენ დიდი ბეჭდიერება ელის ევროპიელ მკითხველს, რომელიც გაეცნობა ფილორ დოსტოევსკის შემოქმედებას. მე მინდა დღეს იგივე გავიმეორო ისრაელელ მკითხველთან დაკავშირებით: ვაჟა ფშაველა, ქართული ბიბლიოთეკა, სწორედ ის სავანეა, რომელიც ისრაელის აუდიტორიას გააგებინებს საქართველოს რაობას, არა როგორც მხოლოდ ტურისტისათვის მიზნიდველ კუთხეს, არამედ ინტელექტუალური საქართველოს სულიერ სიმღიდრეს.



ჯ ე მ ა ლ ა ჯ ი ა შ ვ ი ლ ი — 75

თარგმანები შუასაუკუნეების ეპრაული პოეზიისა
მოვა იპა ეზრა
შამთა საბალონელი

I. დილა

იმღერე, ჩანგო, გარდაეგო მწუხრის ნიშანი
ქარი მიმქრალია
ლვარი — მიღვარული...
ცამან გარდმოსახა მედროშენი სინათლისანი,
ალამი მათი ჩვენსა ზედა:
სიყვარული.

კვლავ გაბრწყინდება საქორწინო ქადა-ხმიადი
ჰანგი სტერისა აამღერებს ლელის შროშანებს,
ფრთებშეკეცილი ყორანივით
წავა წყვდიადი
და განთიადი ქედანივით შეიფრთოსანებს.

გაღმა გარდავა მწუხრის მისანი,
სადმე ცის პირას ობლად მიჯდება,
მზე მობრუნდება
წაყირმიზალი
და ფიალებში ჩანარგიზდება.

მალე მიწყდება ბინდის თარეში
დღე გადმილდება ოქროს შვილდებით,
ს ე ბ ი ა!
და სიყვარულის ოკეანეში
ჩავიზვირთებით
ჩავიზვირთებით
ს ე ბ ი ა!
...ჰა სიხარულიც გარდმოილეს, ცამან მოგვაგო მადლი ულევი,
შეყრის ჟამია, ...მწდეო, მოქეც
კვლავ მოგვანდე სამწდეურები!
ცათა მნათობო, მიწყივ ნათობდე,
კვლავ ნანაობდეს ოქროს ჭევლები, —
ცას ავუყვები საგუმბათომდე,
მზეს სამკვიდროებს შევემჭევები.
როდის — სად მოხვალ, — ვკითხავ ურუმრად, — შუქთა ხარებას
ვისთვის მოიტან!

და გამენდობა ჩემი მიჯნური ცის იდუმალი სამკვიდროიდან.
მზე შემერთვება, შემეშველება შუქს გარდმოაფენს დამზრალ ახოებს
და აამზევებს მისი მშვენება ჩემს ამღერებულ საზამბახოებს...

III. ს ა ლ ა მ თ

ან ფიქრითაა ჩაგმანული ცათა კარები
თვალნი მთოვარისა —
ცრემლი მინამული...
აპა, გარდმოსხდნენ საღამოის ალამდარები,

**
ეჭა, ს ე ბ ი ა,
თმა შეგმოსოდა უცხო არილით,
ნინ ასპიროზი მიგიძლვებოდა
სხივშემართული წინამძღვარივით.
ბრუნავდა დისკო,
ხმობდნენ გუნდები,
ყრუდ გუგუნებდა ბინდი მუხთალი,
ოქრო...
ოქსინო...
იაგუნდები,
ნაფარჩალი და
ნაზურმუხტალი...

ო, ხილვა იგი! —
თითქოს აღსავლით
ცა სტიქიონთა შესძრა ხმაურმა
და უნაპირო მშვენებასავით მზის სილამაზე შემეცნაურა.

შ მ უ ე ლ ა გ ი დ ი დ ი

დაბადებიდან აღსასრულამდე
ტირილით ვიშვით,
ჭაპანს ვენევით,
ჩვენვე გამძიმებს ჩვენი წოდება;
კვლავ განტევებად განვენესებით,

ალამი მათი ჩვენი ზედა:
ს ი ნ ა ნ უ ლ ი!

...ცაო დამსეტყვე,
ცაო დამავსე,
დისკო მთვარისა ჯამში ქანაობს,
მწუხრის ჟამი ხმობს ჟამთა სამანზე
და მწუხარებაც თანისთანაობს
ცამან გარდმოსახა შებინდების ალამდარები
ალამი მათი ჩვენსა ზედა
ს ი ნ ა ნ უ ლ ი!

ცრემლის წვიმა წვიმს, ქარობს ქარცივი,
ქმნა სიკეთისა ვიღას უფლიედ!
მზეს დავუცალეთ ოქროს ბარძიმი,
ცას
ვარსკვლავები მიმოვუბნიერთ...
... ს ი ნ ა ნ უ ლ ი,
გულო ჩემო
განმორების ს ი ნ ა ნ უ ლ ი!

კვლავ შემოგარეს ბინდით მოიცავ, მტვრით აღივსება ჩვენი კათხები,
შენც... ხარებაო ზეგარდმოისავ,
კვლავ განტევებად გარე გადგები,

კვლავ მოგაწვდიან მწუხრის ბარძიმებს, შიგ ჩაიცლება შენი სავსება,
მზეს შეაურულებს,
შეაქარცივებს,

ცა —
მგლოვიარეს დაემსგავსება.
მეც გამიხმობენ ზესთა დასები, ალარც სტავრა მწადს, ალარც ზეზები,
კვლავ ჯვალოებით შევიფლასები,
და უდაბნოში გავიხვენები.

გავიხვენები,
გავებლატები...
აბა, რა ხელვყრი — ფუჭად ვზრუნავდე!

გარდამოხდება უცხო ნათელი,
და ჩამიძიებს გულისგულამდე.
სუსხი მეწევა სხივთა კვდომისთვის, ქსელს მომიქსელავს,
სასოფლოს მომისთვის
და განტევების გზაჯვარედინზე
კვლავ შემამზადებს უკუდგომისთვის.
აშლის ჩემს ფიქრებს,
ააქარავებს,
ზე აღმიტაცებს ზესთა სავანე,
ყრუდ მივადგები ცათა გალავნებს
და ჩავიმუხლებ მისვლისთანავე...

მუნ მიგვაცილებს სხივისი გოდება,
სიზმარი ესე
ხელის ცეცებით
ამ იწროებში მიებლოტება...

**

ი ე ჟ უ დ ა ა ლ ს ა რ ი ზ ი

გამოცხადება

დაი ნებისა მომეახლა, მომენებისა,
კვლავ სამიჯნუროდ წარმავლინა ლანდი იბოლი,
საღვთო სანთლებით განმინათლა სახლი შვებისა,
მზით განმიბანა
სიყვარულის სანთიობონი.

მშვენებას ციურს ესთერ დანებდა, კრძალვით უკუდგა შუქი ნაირი,
და აღმოხდომას აგვიანებდა
ა ბ ი გ ა ი ლ ი...
ა ბ ი გ ა ი ლ ი...

აიხსნა რიდე, აღმიტაცა...
ღრუბლებს შევერთე,
დარობდა დარი ნანდაურის დარი და დარი,
მზე ბულრაობდა სიყვარულის საკურთხეველზე,
ერკემლებივით როკვიდნენ მთანი...
წარვთქვი

— ჟამი ხმობს, დაფარული გაგვეცხადება,
გარნა განმიდგა, მოიბურა პირი მანდილით...
ასე ჩაემვა მწუხრეული სხივის ნათება,
მზის ბრწყინვალება ჩაესვენა შარავანდივით...

ბით ჩემი გაოცება. მე კი ის უფრო მაოცებდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკვას პირველი მდივნის თანაშემწერ კომპარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას აძაგებდა, მის ლიდერებს უსაქმურებად და იდიოტებად იხსენიებდა. მოგვიანებით, ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე უზარმაზარი საბჭოთის ერთ-ერთი ხელისუფალი რომ გახდა, ვლადიმერიც აღარ ჩანდა, რამდენიმდაც ვიცი, მოსკოვშიც ბ-ნ ედუარდთან მუშაობდა. როცა ე- შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა, ვალოდიაც გამოჩნდა — უკვე დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწერ იყო.

და აი, ახლა ისეთი ინტონაციით მეყითხება, ვიცი, თუ არა რამ მოჰკელა ი.სტალინი, ამის გამგონე კაცი იფიქრებს, ამ კითხვაში ბათიაშვილის მოსალოდნელი მხ-ილება იფარებათ და შესაძლოა, სმენაც კი დაძაბოს. მე კი მხრები ავინწურე და ჩავილოპარაკე:

— ათას რამეს ნერენ, მონამლესო, ინსულტიო...
აწყობით ეს მარტივი რაგომი რიცოდება?

— ისსულტი, კი, ჩაგრძო რატომ, რისთვის?! — ჩაძებია პრეზიდენტის თანაშემწე-ისევ მხრები ავინურ და მივაცქერდი: შენ ეგ ამბავიც გეცოდინება-მეთქი. იმანაც არ დაყოვნა — 2 მარტს კრემლში ცეკას ბიუროს სხდო-მა ჩაატარა. ბიუროზე გაიტანა სკიოთხი საბჭოთა კავ-შიონს ეპრაელობის ხაბაროვების მხარეში — ეპრაელთა ავტონომიური ოლქში გადასახლების შესახებ. ცელა ეპრაელო, შენც, ციმბირში უნდა გადაესახლებინეთ.

— რას ამბობ! — ბიუროზე ეს საკითხი გაიტანა, დაამტკიცა, მა-
გრამ სხდომის ოქმს ხელი ვეღარ მოაწერა — მეორე
დილით თავის საძინებელ ოთახში უგონოდ — იატაკზე
გაშეღართული იპოვეს. ცნობა აღარ ჰქონდა. ახლაც
ვერ ხვდები, რა მოჰკულა?

ვერაფერს ვიტყვი, ვლ. ალფენიძის ნათქვამი რამდენად შეესაბამებოდა სინამდვილეს. უკვე გითხარით: მას სჩვეოდა დაუჯერებელი, გამაოგნებელი ამბებით ჩემი გაოცება. ამას ისე ვიყავი მიჩვეული, ამ ინფორმაციისათვის დიდი ყურადღება არ მიმიქცევაი. დრო და დრო მეხსიერების ფსკერიდან ამოტივტივდებოდა და ისევ ჩაიყურყავალავებდა, ეს იყო და ეს!

ამასწინათ 2004 წ. მონსკეში გამოცემული ლილია ბელენეკაიას და ბორის ზინგერის წიგნი „ჩაპერეკო“ ჩა-მივარდა ხელთ. ეს არის წიგნი სსრ კავშირში ეძრაელთა ეროვნულ მოძრაობასა და მის იდეოლოგიაზე. ავტორები უხვად გვანვდიან 1945-76 წლების ეროვნული, დის-იდენტური — ანტისაბჭოური მოძრაობის ფაქტებს. ვერ ვიტყვი, რომ ფაქტების ანალიზი ღრმა და ყოვლისმომ-ცველია, მაგრამ ჩემთვის არა იმდენად ანალიტიკა, თა-ვად ფაქტები გახლდათ საინტერესო. წიგნში საკმაო ად-გილი უჭირავს იმაზე საუბარს, თუ რაოდენ წევატიური იყო ო. სტალინისა და ნ.ხრუშჩევის დამოკიდებულება ეძრაელობისადმი. ამ ფაქტების გაცნობამ დამარწმუნა, რომ ორივე საბჭოთა ლიდერი განაგრძობდა რუსეთის იმპერიის ტრადიციულ დამოკიდებულებას იუდეველ-თადმი. ცხადია, სულ სხვა ფორმით, სულ სხვა მოტივა-ციით, მაგრამ არსი არ შეცვლილა.

საყოველთაოდ გახლავთ ცნობილი, რომ ბოლშევიკები რელიგიურ მოღაწეებს არ სწყალობდნენ: ვ. ლენინის ინიციატივითა და მითითებით, უამრავი მართლმადიდებელი სასულიერო პირი აწამეს, მოაკვდინეს. თბილისის სასულიერო სემინარის ყოფილ მოსწავლეს იოსებ ჯულაშვილს ამ მიმართულებით ლენინისოდენ ცოდვა არ მიუძღვის. მეტიც: მიანიშნებო, რომ მეორე მსოფლიო ომის ნლებში რელიგიისაკენ გადაიხარაო. ეს ფერისცვალება კარგად არის ნაჩვენები ამერიკაში მცხოვრები ჩინებული ქართველი ებრაელი პროზაიკოსის ნოდარ ჯინის (ჯინჯიხაშვილის) რომანში „მასნავლებელი“. „მაგრამ დიდი ბელადი იუდეველ სასულიერო პირთა მიმართ ერთობ შეუწყნარებელი გამოდგა. ეს ის სოსელო ჯულაშვილი გახლდათ, რომელიც როგორც იცხაქ დავიდი ნერს, გორის ციხის ძირში განთვენილ ებრაელთა უბანში ებრაელ თანატოლებათან მეგობრობდა, თამაშობდა.

მეორე მსოფლიო ომში წითელი არმიის რიგებში ნახევარ მიღიონანდე ებრაელი იბრძოდა, აქედან 32 ათასი ოფიცერი გახლდათ და საბჭოთა კავშირის გმირის წოდება — ლენინის ორდენითა და ოქროს ვარსკვლავით 157 ებრაელს მიიჩნეა.

არც ადრე ვეკუთვნოდი იმათ რიცხეს, ვინც ი. სტალინს, იმის გამო, რომ ებრაელთა სახელმწიფოებრიობის აღდენის საქმეში ერთობ დადებითი როლი შეასრულა, ებრაელთა მეგობრად მიიჩნივდნენ. ი. სტალინის მიერ ებრაელთა ერთს სახელმწიფოებრიობის აღდენისადმი მხარდაჭერა სულაც არ გახლდათ განპირობებული იმით, რომ ებრაელობისადმი დადებითი მოცულიერი აკავშირებდა. ი. სტალინი საბჭოთა ლიდერთაგან ერთადერთი მასშტაბურად მიიაზროვნებ, დიდი პოლიტიკოსი გახლდათ და ემოციებით არაფერს გააკეთებდა. პირველი და მნიშვნელოვანი: ამ წლებში სტალინი აღმოსავლეთ ევროპაში თავად კი ქმნიდა კოლონიებს (შემდგომში სოციალისტური სახელმწიფოები: პოლონეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკეთი და სსრ). მაგრამ ებრძოდა დიდი ბრიტანეთის კოლონიალიზმს, ჩერჩილთან იმსადროინ-დელი ურთიერთობა აღარ აკავშირებდა.

შეორებ და ვფიქრობ, განსაკუთრებული მნიშვნელობისა: ი. სტალინი ხედავდა, რომ პალესტინაში ებრაელი ხალხის სახელმწიფო მოძრაობის აღდგენისათვის სოციალისტური მოძრაობის წარმომადგენლები იბრძოდნენ. უმეტესი ამათგანი პალესტინაში რუსეთის იმპერიიდან გახლდათ ჩასული — რუსულ რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილი, რუსული კულტურით ძუძუსნოვი (დავით გერგ გურიონის თანამებრძოლის — ნელების განმავლობაში ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის — მოშე შარეთის შვილი 2007 წ. ქ. რამლეს-თან მდებარე საავადმყოფო „ასაფ ჰა როფე“-ში ჩემთან საუბრისას გარს იმითაც კი ინიციატივა, რომ მისმა მამამი ივრითზე თარგმანა ალ. პუშკინის, მიხ. ლერმონტოვის და სხვა დიდ რუს პოეტების ქმნილებები. მერე თარგმანების წიგნიც კი მოიტანა და მაჩვენა, სოციალისტურ მოძრაობაშიც რუსული სამყაროდან იყვნენ მოსულნი. მოგვიანებით კი — რუსეთის რევოლუციის ტალღებმი განპანილი. ისრაელისათვის ერთობ საბედისნერო დღეებში, როცა გუშინ აღდგენილ ებრაელთა სახელმწიფოს ხუთი არაბული ქვეყანა დაესხა თავს, ი.სტალინმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ებრაელი ხალხის სახელმწიფო მოძრაობის შენარჩუნებაში — ჩეხოსლოვაკიის გზით დიდალი იარაღი მიაწოდა. ისრაელმა ხუთივე მომხდეული სახელმწიფო დაამარცხა. ი. სტალინი დროულად რომ არ მიშველებოდა, სახელმწიფო მოძრაობის შენარჩუნება დიდი კითხვის ქვეშ მოეცელოდა. ბუნე-

ბრივია, ი. სტალინი ისრაელის მეობებით არაბულ სა-
მყაროში ფეხის ჩადგმას უმიზნებდა და თუ იგი იქ ფეხს
ჩადგამდა, სავარძლის დადგმას არავის დაეკითხებოდა.

შაგრამ სულ მალე, ორიოდ წელინადში, სოციალ-ისტმა დავით ბერ გურიონმა სოციალისტურ საბჭოეთს ზურგი აქცია და ამერიკისაკენ აიღო გეზი — ისრაელი ამერიკასთან დამეგობრების გზას დაადგა. ვფიქრობ, ესეც უნდა იყოს ერთ-ერთი მიზეზი 40-50-იანი წლების მიჯნაზე ი. სტალინის ერთობ წევატური დამოკიდებულებისა საბჭოთა გრძალობის მიმართ.


ლილია ბელენეგაიას და პორის ზინგერის წიგნს კი მივუძრუნდები, მაგრამ მე რომ ამ ავტორთა მიერ გამომზეურებული ი. სტალინისაგან ებრაელთა შევიწროების, დაპატიმრება-გადასახლების, სინაგოგების დახურვის მაგალითები მოვიყვანო, წიგნის მეოთხედი მაინც უნდა გადმოვიწერო. ეს კი არც თუ სასურველ საქმედ მიმაჩნია. რაღა შორს წავიდე: გასული საუკუნის 40-50-იანი წლების მიჯნაზე საქართველოში ბეთ ქნესეთები დახურეს, რაბინები დაპატიმრეს, გადასახლეს. ბევრ ქართველ რაბინს გულაგებში ამოხდა სული.

ე.წ. „ოტტეპელის“ შემოქმედის ნიკითა ხრუშჩევის ეპოქაც არ იყო უკეთესი — ი.სტალინს პიროვნებას ებრძოდა, თორემ ებრაელობასთან ურთიერთობისას მეთოდები თითქმის იგივე ჰქონდა. ერთ მაგალითს გავიხსენებ: ქალაქში, რომელშიც მე გავიზარდე, (მიხა-ცხაკაია — დღევანდელი სენაკი) ებრაელობას სინა-გოგის შენობა ჩამოართვეს (კარგად მახსოვეს, რეზო არონაშვილი(არენსი) და მე შაბათ დილით სალოცავში რომ მივედით, იგი ჯარისკაცებით გარშემორტყმული დაგვხვდა. გვანიშენეს ახლოს ნუ მოხვალთო. მაინც შევეცადეთ ბეით ქნესეთში შესვლა. ჯარისკაცებმა კი სიძმები მოვიშვირეს), თემბა სხვა შენობა შეისყიდა და სინაგოგად გადააკეთა. მალე ამ შენობას ცეცხლი გაუჩნდა, დაიფერფლა, დამნაშავე, ცხადია, ვერ იპოვეს. ლილი ბაზოვა თავის ჩინებულ წიგნში „Евреи в Грузии“ დაწერილებით აღწერს ბეით ქნესეთის გაბაის — იაკობ სეფიაშვილის ბრძოლას რაობის ხელმძღვანელობას-თან. კარგად მახსოვეს იაკობ სეფიაშვილი — ჩემი მეგო-ბრის გურამ მეგრაელიშვილის ბიძა — ხმელ-ხმელი, შავგვრემანი კაცი.

ეს უკვე ნ.ხრუშჩევის ეპოქა გახლდათ. თუ სტალინის ზეობისას მეორე მსაფლიო ომის ქარცუცხლს გადარჩენილ და შინ მოპრუნებულ ებრაელობას გატიალებულ-გავერანებულ ნასახლარის აღდგენის — ნასახლარზე ფეხის მოყიდვების საშუალებას არ აძლევდნენ, ნიკიტა ხრუშჩევის ეპოქაში სინაგოგების ჩამორთმევა-გადაწვა, რაბინთა დასჯა მოხშირდა.

ბუნებრივია, იკითხავთ, თუ რა კავშირი აქვს ყველაფერ ამას ბ-ნი ვლადიმირ ალფენიძის მიერ დას-მულ შეკითხასათან: „შენ იცი, რამ მოჰკვდა სტალინი?“ ჩემმა ემსისირებას შემონახა ერთი ფაქტი: 13-14 წლისა ვიქენებოდი, მააბაზ უზარმაზარი ყუთი რომ მოიტანა სახლში — გადასახლებას გვიპირებენ და უნდა ვემზადოთ. ჩვენც სამზადისი დავიწყეთ — იმ დიდ ყუთში თბილ ტანსაცმელს, ლოგინს ვალაგებდით. ყუთი ყოველდღიურად ივსებოდა.

მაგრამ ჩვენს გადასასახლებლად არავინ მოსულა — იმ დღეებში საშინელი ცნობა გავრცელდა: დიდი ბელადი გარდაიცვალოა და ჩვენ, ქ. მთხა-ცხაკაიას რკინიგზის საშუალო სკოლის მოსწავლები, მწარედ მოვთქამდით — მიგვაჩნდა, რომ ქვეყნიერება თავს გვემხმობოდა. ხოლო სტალინის დასაფლავების დღეს „დაფასთან გამოძახებული“ ისეთი გრძნობით წარმოესთქვამდი სტრიქონებს გიორგი ლეონიძის ი. სტალინისადმი მიძღვნილი პოემიდან, მასნავლებელთა და ამხანაგების დიდი პატივისცემა დაკმისახურე.



ଓଡ଼ିଆ

1

26

26 წლის წინათ — 1993 წლის მარტში, სწორედ ფურიმის წინა დღეებში, ამერიკის ებრაელთა საქველმოქმედო ორგანიზაციის „ჯონინთის“ (მაშინ კავკასიის ქვეყნებში მისი წარმომადგენელი მენახებ ელაზარი-აქლოშვილი გახლდათ) ფინანსური და მორალური თანადგომით საქართველოში დაიბადა ებრაული თემატიკის გაზეთი „შენორა“ („სინათლე“, „სხივი“, „შექი“) უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, გაზეთი ცდილობს მოუღლელად ამჟექტდეს საქართველოს ებრაელთა წარსულსა და თანამედროვეობას. ბოლო წლებში, რაც საქართველოში ებრაელთა რაოდენობა შემცირდა, გაზეთი აფართოებს თავის არეალს — დღეს ჩვენი ავტორები, წარმოდგენილ მასალათა ავტორები, კვლევის პიბენტები არა მხოლოდ საქართველოში დარჩენილი, არამედ ისრაელში, აშშ-ში, რუსეთსა, თუ სხვა სახელმწიფოებში მცხოვრები ქართველი ებრაელები არიან — ისინი სად, რომელ კონტინენტზე, რომელ ქვეყანაშიც არ უზდა ცხოვრობდნენ, ქართველ ებრაელთა განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ და მათი წარმატება — საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწევები, გაზეთის ინტერესის საგანი გახსნავთ.

ამ 26 წლის განვალობაში ადგილო არ ჰქონია არც ერთი ნომრის „ჩავარდნას“, გაზეთი გამოდის სისტემატურად. ამას გარდა, გამოიცა კრებულები

„მენორა“-10“, „მენორა-15“, „მენორა-20“, „მენორა-25.“ ამ კრებულებში შესულია იმ წლების განმავლობაში გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი შეტნაკლებად მნიშვნელოვანი პუბლიკაციები. ამდენად, ეს კრებულები ფაქტიურად გახლავთ ისტორია დროის ამ მოხაკვეთის ქართველი ეროვნულობისა.

2003 წელს თბილისის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში გაიმართა გაზეთის 10 წლისთვისადმი მიძღვნილი დღესასხაული, ხოლო შარშან ევრაზიის ეპრაელთა კონგრესის თანადგომით, ისრაელში აღინიშნა გაზეთის შეოთხედსაუკუნოვანი იუბილე.

დღეს გაზეული გულითად მაღლობას მოახსენებს ყველა იმ საზოგადოებრივ ორგანიზაციასა და პიროვნებას. რომლებიც ყურადღებას არ აკლებდნენ და კვლავაც არ აკლებენ „მეზორას“.

ამჟერად კი დაძლევ
ფურიმს მივულოვავთ „მენორას“
ყოველ მკითხველს.

რას ვპიოთხულობთ ამ პვილაში? რაბინის კუთხე



შიმონ ნიცვაუშვილი

ვ
ა
ი
პ
რ
ა

კვირის თავი „ვაიკრა“ იწყება იმით, რომ ჰაშემი ეუბნება მოშე რაბეინუს, როდესაც ადამიანს მოესურვება რაიმე შესწიროს ჰაშემის თუ რისი შენირვა შეიძლება – რა სახის საქონლის და რომელ შემთხვევაში რომელი შესანირავი შეიძლება შესწირონ. კვირის თავი იწყება შემდეგი სიტყვებით „და დაუძახა ჰაშემი მოშეს და უთხრა თუადამიანს სურს რამე შესწიროს, შესწიროს თავისი სურვილისამექნ“.

რაბები სვამენ შეკითხვას: რატომ ნერია სიტყვები რომ ადამიანმა შესწიროს და არ წერია უბრალოდ კანონი რომ ვისაც შენირვა სურს მაშინ შესწიროს მხოლოდ სურვილისამექნ ან უსიტყვა „ადამიანს“ თითქოსდა ზედმეტია, გვასწავლიან რაბები: „რას ნიშნავს თუ სურს ადამიანს, შესწიროს?“ ეს იმაზე მიუთითებს რომ როდესაც ადამიანს შესანირავი მიჰქონდა ტაძარში მოტანასთან ერთად თეშუბა გაეკეთებინა, აქედან ვსწავლობთ რომ როცა ადამიანი თეშუბას აკეთებს და ჰაშემის გზაზე ბრუნდება, გარდა იმისა რომ უნდა შენირა შესანირავი ის კიდევ უფრო მეტს სწირავს როდესაც თავის სურვილებზე უარს ამბობს, შეიძლება ადამიანმა დაარღვიოს უამრავი აკრძალვები, რომელიც ჰაშემი დაგვინერა თორაში და ამ დარღვევების შემდეგ მოეტანა შესანირავი და გამოესყიდა, მაგრამ თორა გვასწავლის რომ ასე არ იყო, არამედ ვის ეთვლებოდა რომ ჭეშმარიტად მოიტანა შესანირავი და მას ჩაეთვალა გამოსყიდვაში თუ შესანირავებთან ერთად თვითონაც გამოსწორდებოდა გამოასწორებდა თავის თვისებებს იმისათვის რომ მას შემდგომ ასეთი აკრძალვები აღარ ჩაედინა, ესაა ჭეშმარიტი შესანირავი, რომელსაც თორა გვასწავლის იმისთვის, რომ ადამიანს ცოდვები ეპატიოს, ეს არის თეშუბა როდესაც ადამიანი თავის მიერ ჩადენილ დანაშაულს აღიარებს და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის რომ მომავალში აღარ ჩაიდინოს. დღევანდელ დღეს, როდესაც ჯერ კიდევ ტაძარი არ გვაქვ სშესაბამისად გვასწავლიან რაბები, რომ მთელი ძალა, რომელიც ტაძარში შესანირავის მოტანას გააჩიდა გადავიდა ეს ძალა ადამიანის ბაგებში, რომ შეუძლია ადამიანმა ილოცოს, მოინანიოს ყველა თავისი ჩადენილი არასწორი მოქმედება და ამით შეუძლია ყველა ცოდვა ეპატიოს. ამას გვასწავლის თორა ამ კვირის თავის პირველი სიტყვებიდან თუ რამხელა ძალა გააჩინა ადამიანს მის ბაგებს რომ ყველაფერი ცუდი გააპათილოს იმას რასაც შესანირავი აკეთებდა იმ დროს როდესაც ტაძარი გვქონდა.

ანტისემიტიზმის მსოფლიო რეიტინგი

ანტიდიფფამაციურმა ლიგამ (ADL) წარმოადგინა მსოფლიოს ქვეყნებში ანტისემიტიზმის გავრცელების რეიტინგი. გამოკვლევის თანახმად, ანტისემიტური სულისკვეთების მატარებელი გახლავთ დედამიწის მოზრდილი მოსახლეობის 26%. ექსპერტთა აზრით, დღევანდელ მსოფლიოში სხვადასხვა ერებისადმი ნეგატიური დამოკიდებულება გაცილებით მაღალია (მაგალითისათვის: ფრანგებისა და თურქების 73% არ უყვარს რუსეთი).

მაგრამ ამჯერად ანტისემიტიზმის თაობაზე:

ებრაელობის მოძღვეთა სიის სათავეში არიან ახლო აღმოსავლეთის (ამათ შორისა პალესტინის ავტონომია) და ჩრდილოეთ აფრიკის – არაბული ქვეყნები: 74%.

ამერიკის კონტინენტზე ანტისემიტიზმის საშუალო მაჩვენებელი 19% გახლავთ, დასავლეთ ევროპაში – 24%, აღმოსავლეთ ევროპაში – 34%, შეადასამხრეთ აფრიკაში – 23%, აზიაში – 22%, ოკეანეთსა და ახალ ზელანდიაში – 14%.

ევროპაში ებრაელთა სიძულვილში საბერძნეთი ლიდერობს – მოსახლეობის ორი მესამედი ებრაელობისადმი ნეგატიურად განხლავთ განწყობილი.

საფრანგეთი ებრაული მოსახლეობის რაოდენობის მხრივ მსოფლიოში მესამე ადგილზეა (ისრაელისა და აშშ შემდეგ). აქ ებრაელობისადმი ნეგატიურ განწყობილებას ატარებს მოზრდილი მოსახლეობის 37%. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საფრანგეთი ლიდერობს ახლო აღმოსავლეთის ისლამური ქვეყნებიდან მიგრანტების რიცხვით. საფრანგეთის დიდი ქალაქების, სადაც ისლამური მოსახლეობის რაოდენობა 34% აღწევს, გააზრები აქრელებულია ანტისემიტური სათაურებით. საფრანგეთის ხელისუფლება ამით შეწყიბულია, მაგრამ როგორც ჩანს, ამ გარემოებას ვერაფერს უპირისპირებს. პატარა ქალაქებში კი ხელისუფლებას შარიათის მომხრეები ეუფლებიან.

განვითარებული ქვეყნებიდან რეიტინგში ბოლო ადგილზეა შვეცია – აქ ანტისემიტიზმის მატარებელი მოზრდილი მოსახლეობის 4%-ია. დიდ ბრიტანეთში – 8%, დანიაში – 9%, აშშ-ში – 9%, კანადაში – 14%, გერმანიაში, სადაც საფრანგეთისა არ იყოს, მიგრანტთა ასევე დიდმა ნანილმა მოიყარა თავი – 27%, სამხრეთ ევროპაში – იტალიაში – 20%. იაპონიაში – 23%, სინგაპურში – 16%, ტაილანდში – 13%, ვიეტნამში – 6%, ფილიპინებზე – 3%, ლაოსში – 0.2%.

თვალნათელია, რომ განვითარებულ ქვეყნებში ანტისემიტიზმის დონე შედარებით დაბალია – მათ არა აქვთ საბაზი თავთავიანთი გასაჭირი ებრაელობას გადააბრალონ.

სამხრეთ აფრიკასა და რუსეთში ანტისემიტიზმის მაჩვენებელი საშუალო

სტატისტიკურზე მაღალია – 38% და 30%, ჩინეთსა და ინდოეთში – 20%, ბრაზილიაში – 16%.

ერთობ საინტერესოა ანტისემიტიზმის დონის განსხვავება პოლონეთსა (45%) და ჩეხეთში (13%). ებრაელები იქაც ცხოვრობდნენ და – იქაც, მაგრამ პოლონეთი, ჩეხეთისაგან განსხვავებით, თავის ყოველ უბედურებაში ბრალებულად ებრაელობას მიიჩნევდა.

ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის ანტისემიტურ სულისკვეთებაში სომხეთი ლიდერობს – 68%, მას მოსდევს ბელორუსი და უკრაინა – 38%, შემდეგაა აზერბაიჯანი – 38%, ყაზახეთი და საქართველო – 32%, მოლდოვა – 30%, ესტონეთი – 22%, ლატვია – 28%, ლიტვა – 36%.

თურქეთში მოზრდილი მოსახლეობის 69% ებრაელობისადმი უარყოფითად გახლავთ განწყობილი. ცოტა უცნაურად გამოიყურება ირანი, ქვეყანა, რომელიც ისრაელთან ომის ზღვარზეა, აქ ანტისემიტთა რაოდენობა – 56%.

საპარლამენტო არჩევნების წინ

როგორც ცნობილია, 9 აპრილს ისრაელში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ტარდება. ამიტომ მემარცხენე პარტიათა ბრძოლა მემარჯვენეთა ლიდერი ბ. ბეთანიაპუს ნინააღმდეგ, თანდათან გააფთრებული ხდება – მითუმეტს, რომ 28 თებერვალს სახელმწიფოს იურიდიულმა მრჩეველმა ავისა მანდებლიტმა გამოაცემდა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, შესაძლოა, ბინიამინ ნეტანიაპუს ბრალი წაუყისონ. მოსალოდნელ ბრალებათა ნუსხა ასე გამოიყურება: „ქრთამის აღება“ (სისხლის სამართლის 290-ე სტატია), „თალლითობა და საზოგადოებრივი ნდობის გაცრუება“ (სისხლის სამართლის 284-ე სტატია).

თუ სასამართლომ ნაყენებული ბრალდებები დამაჯერებლად სცნო და გაიზიარა, შესაძლოა, სასჯელი ერთობ მკაცრი იყოს – სასჯელის უმაღლესი ზღვარი 10 წელი გახლავთ. ავისა მანდებლიტის რეკომენდაციაში ქვეყანაში ერთობ დაძაბული ბოლოტიკი სიტუაცია შექმნა.

მიუხედავად ამისა, რეკომენდაციის გამოქვეყნების მომდევნო დღეს – 1 აპრილს მომავალი არჩევნების გამოაითხოვს შედეგები ასეთი გახლდათ: დღეს რომ არჩევნები ტარდებოდეს, ნეტანიაპუს მეტოქე ახლად შექმნილი მემარცხენე „კახოლ ლავანი“ 36 მანდატს მიიღებდა, ნეტანიაპუს პარტია „ლიკუდი“ კი 30 მანდატს. არაბული პარტია „ხადაშ-ტაალი“ 9 მანდატით მესამე ადგილზე იქნებოდა. „შასი“ და „მერეცი“ ექვს-ექვს მანდატს დასჯერდებიანონ.

9 აპრილამდე კიდევ დიდი დროა, შესაძლოა, ბევრი რამ შეიცვალოს.

1 3 ტ ა ნ კ ი ს ტ ი გ ო გ თ ნ ა

ლატრუნის სატანკო მუზეუმში გაიმართა ოფიციალური საზეიმო ცერემონია:
ამიერიდან ისრაელის არმიის სატანკო შენაერთებში ქალებიც იქნებიან



თბილისში მიშა-მორდეხაი ჯანაშვილის 90 წლისთავი აღინიშნა

24 თებერვალს საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმში ჩატარდა ცნობილი ქართველი ებრაელი მხატვრის მიშა (მორდეხაი) ჯანაშვილის (ისრაელი) დაბადებიდან 90 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ნამუშევრების გამოფენაზე ასევე წარმოდგენილი იყო მისი მეუღლის — ვერიკო ჯანაშვილისა (ისრაელი) და ქალიშვილის — ცისანა ჯანაშვილის (აშშ) ფერწერული ტილოები.

გამომსვლელებმა გულთბილად გაიხსენეს მიხეილ ჯანაშვილი და მაღალი შეფასება მისცეს მის შემოქმედებას.

მუზეუმი მადლობას უზდის, ქალბატონ ვერიკო ჯანაშვილსა და ცისანა ჯანაშვილს საჩურად გადმოცემული ნამუშევრებისთვის.

**შოთა (მორდეხაი) ჯანაშვილის (1929-1988)
საიუგილეო გამოფენა**



2019 წლის 24 თებერვალი. 15:00

დავით ავაზოვის სახელმისამართის ერაყელი
და კართული ეროვნული უნივერსიტეტის მუზეუმი

ათენის ეროვნული მუზეუმის მუზეუმი

მიშა-მორდეხაი ჯანაშვილი (1929-1988) დაიბადა ქ. თბილისში, 1929 წლის 24 თებერვალს.

1949-1957 წწ. სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით.

მიშა ჯანაშვილი მხატვრობას ისეთი ისტატების ხელმძღვანელობით უწევდებოდა, როგორნიც იყვნენ: უჩა ჯაფარიძე, კორნელი სანაძე, მოსე თოიძე, გრიგორ მესხი, სერგო ქობულაძე...

მიშა ჯანაშვილი აქვს მრავალი ჯილდო და სიგელი.

მიშა ჯანაშვილის ნამუშევრები დაცულია საქართველოს, ისრაელისა და რუსეთის მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში.

მიშა ჯანაშვილი ისრაელში (იერუსალიმი) საცხოვრებლად დასახლდა 1974 წელს.

მოწყობილი აქვს 41 პერსონალური და მრავალი ჯგუფური გამოფენა საქართველოში, ისრაელისა და სხვა ქვეყნებში.

ტექნიკა: ზეთი, გრაფიკა, აკრილი, გუაში, ჰასტელი.

მიშა ჯანაშვილის შემოქმედების შესახებ გამოცემულია მონოგრაფიები და კატალოგი.

ასევე, დამზადებულია ვერცხლისა და ბრინჯაოს მემორიალური მედალი მხატვრის გამოსახულებითა და ორიგინალური ავტოგრაფით.

მხატვარ ცისანა ჯანაშვილის წერილი მუზეუმს

„მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო! ძალიან გავიხარე, როდესაც მაცნობა ბატონმა გივიმ მამაჩემის დაბადებიდან 90 წლისთავისადმი საიუბილეო გამოფენის შესახებ. ასევე გული დამწყდა რომ ასეთ ლირშესანიშნავ დღეს ვერ ვესწრები...“

ამ უბანში დაიბადა და გაიზარდა და შედგა მხატვრად, უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუნია საბჭოთა პირობებში თავისი მიზნის მისალევად, მაგრამ უდიდეს მა სიყვარულმა ხელოვნებისადმი თავისი ნაყოფი გამოილო, იგი ხომ მხატვრად დაიბადა და სხვა გზა მისთვის არ არსებობდა... უანგაროდ იღწვოდა, უყვარდა ადამიანები განურჩევლად და ასეთივე სიყვარულით და პატივისცემით უპასუხა ხალხმა.

როდესაც ალთემულ მინაზე დადგა ფეხი, ნატვრად ექცა თავის სამშობლოს — საქართველოს სწვეოდა გამოფენით ჩემთან ერთად...“

მისი ნატვრა ასრულდა 2014 წლის ოქტომბერში და დღეს 2019 წლის 24 თებერვალს... უსაზღვროდ გმადლობთ ყველას!!!“

„ბერმშითი“ მთვარისაკენ მიისტრავის

ისრაელმა კოსმოსის შესწავლის ისტორიაში პირველად მთვარისაკენ გაგზავნა საფრენი აპარატი, ბერმშითი. „აპარატი მთვარისაკენ გასტყორცნეს რაკეტით „Falcon-9“. „აპარატი კოსმოსში რაკეტისაგან განცალკევდება, დედამინის ორბიტაზე 2.5 თვე იქნება, დედამინის თანდათან დაშორდება, მანამ სანამ მთვარის გრავიტაციაში არ მოექცევა. ამ ოპერაციის მიზანია „ბერმშითის“ მთვარეზე დამვება. იგი დაემვება იმ მიდამოებში, სადაც ერთ დროს აპოლონი“ დაფრინდა.

4 მარტს „ბერმშითისგან“ დედამინაზე მიღებული იქნა სელფი. სურათზე, რომელიც გადაღებულია ჩვენი ბლანეტიდან 47000 კმ. სიმორეზე, ჩანს დედამინი.

„ბერმშითი“ ორ დღეს გაატარებს მთვარეზე და გამოივლევს მთვარის ზედაპირს, გაზიობებს მაგნიტურ ველს. ეს კი შექმნის დედამინის თანამგზავრის ბუნების შესწავლის საშუალებას.

ბულგარელთა არატოლერანტობა

ევროკავშირის ქვეყნებს შორის ბულგარეთი ყველაზე არატოლერანტული ქვეყანა — 100 სახელმწიფოში 450 ათასი ადამიანის გამოკითხვის შედეგად ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ნევადის უნივერსიტეტის მეცნიერები.

ტოლერანტობის გასარკვევად კითხვას სვამდნენ იმაზე, თუ რომელი სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან სურთ მეზობლიბა. გამოკვლევამ ასეთი კანონზომიერება დაადასტურა: რაც უფრო მდიდარი, განვითარებულია ქვეყანა, მისი მოქალაქეები მით უფრო ტოლერანტული არიან (ერთადერთი გამონაკლისი იაპონია გახლავთ).

ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან ყველაზე უფრო ტოლერანტულად მიიჩნევიან: შვეცია, ესპანეთი, საფრანგეთი და დანია.

ყველაზე ღარიბი ასეთი კანონზომიერება დანგლადები, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი) ყველაზე არატოლერანტული არიან. ბულგარელთა არატოლერანტობა კიდევ უფრო ძლიერია მუსლიმების მიმართ.



ვიოლა ხანანაშვილი,
ბორის და ნინო
ფიჩხაძეები, იუწყებიან,
რომ გარდაიცვალა
ავთანდილ
იცხაკის-ძე
შამლიკაშვილი
და თანაუგრძობენ
განსვენებულის ოჯახს.



მეგობრის ხსოვნას

ჩვენი სამეგობრო წრე თანდათან ვინროვდება — ახლახანს ისრაელში გარდაიცვალა ჩინებული პიროვნება და გამორჩეული მეგობრარი იოსებ (ლოვა) ხუბელაშვილი.

ლოვა ხუბელაშვილი ქ. მიხეა-ცხაკაიაში დაიბადა და აღიზარდა. დაამთავრა საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტი-გამორჩეული ინჟინერი. ლოვა ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქართველ ებრაელთაგან, ვინც ისტორიული სამბობლოსაკენ მიმავალ გზას დაადგა.

იყო უაღრესად ეკითხმობილი, სიცოცხლის სიყვარულით აღსავსე, გულგახსნილი, ერის ინტერესების დამცველი. ისრაელში კარგა ხანს — საპენსიონ ასაკის დადგომამდე, მსახურობდა ქ. თელ-ავივის მერიაში, სადაც გამოიჩინა პატივისცემით უპასუხა ხალხმა.

ერთად გავატარეთ ბავშვობა, სიყრმის, სტუდენტური ბიბლიოთი-გამორჩეული და კარგი მეუღლე, სამეცნიერო წრის ძვირფასი თვალი გახლდა. მიუხედავად სივრცით დამორჩებისა, არასოდეს დაგვიკარგავს ერთმანეთთან კავშირი.

ჩვენი სამეგობრო წრისათვის ლოვასთან განშორება, დიდი დანაკლისია!

არონაშვილი (არონი) რაზო, გათიაშვილი გურამი, გათიაშვილი გურამი, მარადიული სიმშვიდე ჩვენი მეგობრის სულს!

არონაშვილი გურამი, გათიაშვილი გურამი, გათიაშვილი გურამი, მარადიული სიმშვიდე ჩვენი მეგობრის სულს!

არონაშვილი (არონი) რაზო, გათიაშვილი გურამი, გათიაშვილი გურამი, მარადიული სიმშვიდე ჩვენი მეგობრის სულს!

არონაშვილი (არონი) რაზო, გათიაშვილი გურამი, გათიაშვილი გურამი, მარადიული სიმშვიდე ჩვენი მეგობრის სულს!

არონაშვილი (არონი) რაზო, გათიაშვილი გურამი, გათიაშვილი გურამი, მარადიული სიმშვიდე ჩვენი მეგობრის სულს!

არონაშვილი (არონი) რაზო, გათიაშვილი გურამი, გათიაშვილი გურამი, მარადიული სიმშვიდე ჩვენი მეგობრის სულს!

არონაშვილი (არონი) რაზო, გათიაშვილი გურამი, გათიაშვილი გურამი, მარადიული სიმშვიდე ჩვენი მეგობრის სულს!

არონაშვილი (არონი) რაზო, გათიაშვილი გურამი, გათიაშვილი გურამი, მარადიული სიმშვიდე ჩვენი მეგობრის სულს!

არონაშვილი (არონი) რაზო, გათიაშვილი გურამი, გათიაშვილი გურამი, მარადიული სიმშვიდე ჩვენი მეგობრის სულ